დროთა

ლექსები SMS -ებით

დოროთეა

ლექსები SMS-ებით

თბილისი 2015 წ.

UDC (უაკ) 821.353.1-1
დ-767

© დოროთეა 2015
ISBN 978-9941-0-7909-2

****

ყომარბაზებივით
ადგილს არ იცვლიან
ყვავები,:))
თუნდაც სამარის
მესამედით უფრო ახლო
სიკვდილს მიეახლო:))

****

ღამეა მთვარიანი,
ძალიან წყნარი.
დამუნჯდი თუ გახდი მკვდარი?
თქვი რამე
თორემ მიმყვება დარდი
სიზმრებში მძიმე
ბარგი:))

****

სიკეთე, როგორც
მზიანი ღამე
იქნება სადღაც,
იქნება ალბათ;
მაგრამ, რადგანაც
ღამეა ახლა
განმხოლოება სიმარტივესთან,
მთვარეზე უფრო მახარებს
მართლა...:))

26.06.09
... მომენტო მორი
მომენტო მორი
გახსოვდეს სიკვდილი
მუდამ აქ არის
მთვარე მრგვალი -
გლუვი თავი,
პირველი კაცის ძვალი
გოლგოთის მთა
და მხსნელი ჯვარი
კიდევ?
კიდევ მთვარის პინაზე
შეგდებული დღეების ჯავრი.

****

ეს ჩემი სევდა მაძლებინებს,
მაგრამ სიხარულსაც
მაკლებინებს
შენ როგორც მკურნალმა
სულთა
უნდა იცოდე რაა ეს სულთქმა!
პ.ს.
მართლა ველი პასუხს!
წმინდა მამებიც ტიროდნენ ნეტა?
თუ იმათ მარტო დღე აქვთ?

****

რაღაც საშინელი
გავხდი არსება,
მგონი არავინ
მიყვარს ამქვეყნად!
ამდენი ცემისგან
ამდენი რტყმევისგან
სული დასცქერის
სხეულს ზევიდან...

****

მომწერე რამე
ოღონდაც ჩქარა!
სანამ ნატერფალი
წარგავა ქარმა.
აქ უდაბნოა
და ბევრი უსახოა
ეხლა ნუ დამტოვებ
ამ გათხრილ ჭასთან,
იმიტომ რომ,
წყალი უმანკოა.

04.07.09
მე იცი რას ვიტყვი
განა არ განვიცდი?
ძალიან კარგია
ცხოვრება მარტივად
და კიდევ ადვილად.
- მე კი ეს არ ვიცი.
რატომ მომისაჯეს ასეთი
თანაყოფა.
პირველშეწირული მიყვარს
წირვა
და ყველაზე უფრო მიჭირს
საკუთარი თავის ტვირთვა.

02.07.09
დღე რაღაცას თუ
გპირდება მიხარია!
მე კი, მთვარისკენ
მეწევა სევდა
ახლა სულერთია,
თითქოს სულეთია
და აღარაფრის მჯერა!

****

ნაღდად ეგრეა,
მაგრამ მერხევა
ვერაფერია ჩემში მყარი,
რომ ვთქვა
სამყაროს ხელი ვკარი
....

რა შენ შეძელი
გქონდა თავი?!

****

არ ვიცი როგორ
არიან სხვები...
ანკი შენ ვინმემ
თუკი შეგიფარა -
ალბათ მოგიხილა
ალბათ მოგიარა.
მაგრამ სულთა თანა
არავინ, არ არის....
არავინ არავინ გეტყვის
სუთათანას!

****

სახლი მაქვს ფარღალალა
წვიმა დაბლაყუნობს,
ქარი ფარდებს ხლართავს
ყინვა იწყებს სისინს
აჩენს გველის წიწილს..
მინდა გავყვე ქარებს
ვინმე შემიფარებს.
არ მინდა შეფარება
ძალიან მეზარება
....
მომბეზრდა კამათი!
სახლი ფარღალალა
სული ალაგ-ალაგ.

****

შენ ალბათ არ იცი
როგორ მიშველე
ერთი ლექსი და....
ლექსებად ავიშვი?
და არც ის არ იცი
- როგორ ამოდის
ლექსი თავისით
როცა ავადა ვარ
ლექსი მაშინ მჭირს
....
ეხლა გაიღო ის კარი
თავისით.
მადლობა! მადლობა!
.... მადლობა!
გამივლის.

****

გამოდი გარეთ
შეხედე მთვარეს.
რა ალმაცერად
უყურებს არეს.
ეხლა იფიქრე,
რომ არ ხარ მგელი
და რომ ყმუილი
ვერაფერს გშველის!

****

როგორ მახალისებს
შენი მესიჯები,
თითქოს სხვაგანა ვარ
ზესკნელს ვეთვისები.
მე როცა ლექსებს ვწერ
მტკივა ძალიან;
შენ როცა კითხულობ
იწყება თავიდან...
როცა ზაფხულიც წავა
სახლიდან
ქვრივი ხეები,
მდგარნი გახრილად
ვინძლო იტყვიან
სულო რა გინდა?!

****

ზოგი ფიქრობს მთავარია
იყოს მაძღარი,
ზოგისთვის ალბათ
- უფრო გამხდარი,
ზოგისთვის ჯიპი
და სქელი საფულე
ყველა ოცნების
საზღვარს ასრულებს.
მე კი მაოცებს, მაკვირვებს, მაოსებს -
ასეთი მთავარი
გარდამავალი,
მაგრამ მივქარავ ალბათ
ყველა ბედნიერია
 მე კი არა!!!

****

ეხლა მე მაქვს ნაღდად დეპრესია
ყველაფერი
არასწორი ცხოვრების შედეგია
და ეს ყველაფერი
ალბათ შემდეგშია.
სულში გამჭოლი
ქარი შემეჩვია
მიზეზი სატირელი იცი რა ბევრია!
05.07.09

****

სცენაზე რა მინდოდა?
ან შვება რად მინდოდა?
მხოლოდ დავიწყება
ღვინოში დაიწყება,
მერე დასახრჩობი
ზღვები დამჭირდება
თუკი ნაპრალია? -
სული გაითხარა
გეტყვი აქ ჭა არის
და შიგნი წყალი,
რომელიც არ იმღვრევა
და არის წყნარი.
დღე -
კუდს რომ მოიქნევს
ვინძლო მოვიწყენ,
ვინ იცის მოვიდე!
ღვინოში დახრჩობა
ამჯერად მომინდეს!

****

რა მშვენიერია
ეს არაფრობა!
საითაც გინდა იქით გადახნავ
და ყვავილს გადარგავ,
ან ოფლზე იხარებს,
ან ცრემლს დაასხამ.
თუკი გაგიმართლა
ყვავილოვანი გექნება
არაფრობა
...
როგორი ლამაზია
და მზად გასაქრობად!

****

03.07.09
მაგრა მიქარავ -
არ ვიცი გიყვარვარ?
როცა დაეჭვება
სულში დაგეწყება,
ტაჯმახალს დაერხევა!
თუ ამ გრძნობას
მოქონდა მსხვერპლი
გეტყვი:
ნუთუ მე უნდა
მეტკინოს მეტი?

****

ახლა ზაფხულია
და მზის მისტერია.
თითქო ყველაფერში
მე ვარ ბრალეული
ისე მაქვს არეული,
ისე მაქვს არეული,
ვატყობ მექნება
ალბათ ისტერია.
ესეც ზაფხულის
იქნება მისტერია!
მეტყვი - დაიკიდე!
გეტყვი - რა იყიდე
თუკი დაიკიდე?!
....
ეხლა ზაფხულის არის
მისტერია
და დიდიან-პატარა
ყველა შტერია...
ამ სიშტერეში
ნუთუ მზეც ერია
ნუთუ ერია?!

****

ისევ ავადა ვარ,
ისევ დავიფანტე
სიტყვებმა გადაძოვეს
ავიდნენ ამ აღმართზე
რატომ მიმატოვე
რატომ დაიკარგე?

****

05.09.09.
მე ძალიან
მიჭირს დაჯერება,
რომ მხოლოდ
ნეკნი ვარ
ადამის ფერდიდან.
და არ უნდა მოვშორდე,
ადამს გვერდიდან.
და თუ დაეცა
რომ გავს ბნედიანს
ამდენი ნეკნი აქვს
და მაინც ერთი ვარ
მე ის ნეკნი ვარ
რომ უნდა ვიყვე
ალბათ, ღმერთისგან.

****

06.07.09
თუ - ხარ თანახმა
ამ ჩემს პირობებზე
რაღაც მიპასუხე!
რაღაც მომაწოდე!
თორემ ლექსები მოდიან
თავისით,
როგორც პატარა
ბატკნები დაისში.

****

09.07.09
ეხლა სიტყვები
ეძებენ ფორმას.
მე მოგცემ ფორას,
მაგრამ იცოდე
ძალიან, ძალიან, ძალიან,
შორს ვარ!
ზღვაში ჩამავალი
მზესავით
ზღვა მხრავს
ზღვა! ზღვა
სიკვდილის ზღვა
და იქ თავდება
ყველას გზა.

****

09.07.09
მართალია მაგარია
მაგრამ ვერ ვფიქრობ
ეგრე რა ხანია.
მთვარე გამხდარია
თითქო ჯაგლაგია
საუკუნეებში
მზის ტარებამ
დაქანცა რა ხანია!
....
და მაინც მართალია.

****

10.07.09
რა გითხრა ისეთი!
კვლავ ლექსად ვიღვრები.
სული მთვრალია
ოღონდ მთვარიდან
ასე თვრებოდა ომარ ხაიამ!

მადლობა მადლობა -
მომეცი იმედი,
ყველაზე მთავარი,
ყველაზე პირველი.

ვაი! აბა პაკა!
კარგად
თუ გექნა ლექსების წერის
სურვილი
მე ისევ აქ ვარ
და გელი მარად:)))

****

25.07.09

ზღვრული განცდები
სასტიკი ამბები
და გულს გახედნის
ფიქრი თავხედი.
ესაა მიჯნა -
უფსკრულის პირთან,
ცისკარიც იქ არის
იწყებს წერას:
მზე წერტილია
მთვარე მძიმე
მიდი და ესეთი
დღეები ზიდე!

****

გამიგე ვერაფერი?
დამთავრდა ყველაფერი!
სული გაიხიზნა -;
ვარსკვლავი ჩამოწყდა ციდან
.
წამოდი -
ეს ვარდნაა
წმინდა!
თუ არ დავიღუპეთ
ოდნავ გაიბუტე.

****

როგორ დავიღალე -
ცრემლად დავიღვარე,
მერე ამ ცრემლების
ტალახით დავისვარე.
ეხლა ვდგევარ ასე
თითქოს არ მაქვს სახე
იქნებ შენ მიპოვე
სადმე დამინახე.

****

12.08.09.
`წადი მონასტერში
წადი ეფემია”
აქ ხომ ყველაფერი
ისევ ერთფერია
თითქო გაოცება
ხეებს შერჩენია
უკვე შემოდგომა
ისე შეეჩვია!
წადი მონასტერში
ჩემო ეფემია.

****

10.07.09.
ცხოვრება ზღაპარია!!!
იყო და თითქოს
უკვე გამქრალია,
ენთო კოცონი
და უკვე ჩამქრალია.
და რაც მთავარია -
სულთა შეხვედრის
დიდი ამბავია
და ამიტომაც ალბათ
მართალია.
ცხოვრება ზღაპარია
ცხოვრება ზღაპარია
- ეს შეხვედრები
მარადისობისგან
ნაღდად ნაპარია!_

****

02.08.09

ეხლა ყველაფერი
ისე მეზარება,
ვატყობ მარადიული
სევდა მეძალება!
არ ვიცი რამე კიდე
თუკი მეყვარება.
ეხლა მის ნატერფალს
ისე ავეკიდე,
მაგრამ როცა გინდა
იყვე მხიარული,
უნდა დაივიწყო
მასთან სიარული.
ის მიმოირწევა
წყალთა ზედა;
ო, ეს მარადიული
ნეტარი სევდა.

****

19.07.09.
ეხლა შენც გატყობ,
რომ გაქვს დეპრესია.
რატომ არა გშველის
შენი ეკლესია?
ალბათ შეცდომებში
ღმერთსაც ვეცოდებით.
- ლაზარეს ტიროდნენ
მართა-მარიამი;
ქრისტეც ცრემლოოდა
იყო დარდიანი.
მგონი საფლავის
კართან მივედი
და ამ ცრემლების
მე მაქვს იმედი!

****

სული?!....
სული უნდა იყოს
როგორც გასატყავი
დოლებს, რომ გააკრან
როგორც ტყავი.

****

21.07.09
როცა გაგიცანი,
მაშინ ვერ გიცანი
ნასროლი ტყვიებით
სიტყვებს ისხლიტავდი.
ახლა ამ სიტყვებით
ტანჯვებს ვეზიდებით
სული გაფაქიზდა
მერე თავისთავად
ნეტა რატომ
გავხდი ეხლა
ასე ავად?!
როცა გაგიცანი
ნაღდად არ მეგონა
შენ თუ ამიტანდი.

****

21.07.09
რახან გამოგიხმე დუმილისგან
გგონია შეხვედრის
სურვილი მაქვს?
თუ ზღვა ხარ
იქნება შტორმი,
ტბაზე კი სუნი.
სუნი შმორის;
თუ გამოგიხმე აწი -
ლექსი იქნება ზღვაში,
როგორც ვენერა ქაფში.

****

21.07.09.
ზეპურთა იმედო
ჩემო ინტელექტო
ნუთუ შენც მიგანე
ნუთუ დაიღალე?

****

ეხლა ყველაზე მთავარია
არ იყო ნაგავი.
რომ არ დაგაწვეს
მხრებზე ზამთარი,
ოქრონაპარი ხეები ლამაზია,
ძირს იყრება და
უკვე ნაგავია.
კარებთან კი ისევ
ზამთარია:)))

****

22.07.09
ეხლა ვიძინებ -
გარეთ ყეფს ძაღლი
მეც; რომ არ ავყეფდე
მჭირდება სახლი.
სახლს - ეზო,
ეზოს - ბავშვი,
ბავშვს მამა სჭირდება.
კაცს კაცი გაზრდის
- დავიწყე უკვე ყეფა
თუ მქონდეს სახლი?!

****

20.07.09
ისეთი დუმილი მინდა ამჯერად
თოვლის ფიფქების
მესმოდეს დაფენა
ვერავის ვერ ვუგებ,
ვერავის ვერ ვუძლებ,
მხოლოდ ტკივილის
მესმის კივილი.
ამ სიჩუმეში
ფიფქთა დუმილის,
დამტოვონ მარტო
მე მაქვს სურვილი.
როცა სიჩუმე
დაიწყებს რხევას
თოვლი ეფინება
მიწას ნელა.

****

15.07.09
ეხლა როგორც მხეცი
შემოვარდა ივლისი;
გამკლავება მიჭირს
ამ ჩემს თავთან თბილისში;
მზეს ალბათ აუვა
ბუღი და ცეცხლი,
იქნებ გადამაგდონ
ზღვისკენ როგორც კენჭი.
მზე ირქინება
ბუღა ხარია.
მე ტორიადორი
წითელი მაცვია.

****

13.07.09.
კვლავ, როგორც ძაღლი წკმუტუნით,
ლექსი გითხარი ჩურჩულით.
გინდა დაკრიფე ქვები,
გინდა გადუსვი ხელი.
რაც შეეჩვია წანწალს
აღარ აჩერებს წკავწკავს
და სულერთია უკვე
საერთოდ ხარ თუ არ ხარ.
...
ძაღლისთვალება ლექსი
დამიწერია შენთვის.

****

27.07.09
როგორც ყოველთვის
შენს ლექსებს მოველი
ჩავთვალოთ თითქოს
დაცვაზეც მოვედი
გილოცავ
გილოცავ!
სიკეთე ფილოსოფიური
გქონოდეს ყოველი.

****

30.07.09
ვერხვები ვერცხლისფერი
შეშფოთებით
მთვარესთან რაღაცაზე
ჩურჩულებენ!
და თითქოს ეს
შეკრთომა ვერცხლისფერი
ნიავმა სხვათაშორის მომიტანა,
გავიგე, რა თქმა უნდა
ვერაფერი,
მაგრამ ვერხვებივით დამიარა...

****

30.07.09
ოდეს ზაფხული გაიხურავს კარებს,
ალბათ გავუძლებ
შემოდგომის ალებს,
რომ მივაღწიო
საშობაო ფარეხს,
მერე ვიაზრებ - თუ გამიმართლა
თუ გაგიმართლე.

****

08.09.09
წვიმის ძუაზე
ეკიდა ღამე!
უსიყვარულობაში
ბრალი დამდეს
მერე მომაყოლეს
ქვები - ქვაზე
არც თავის მართლების
ვიყავი ხმაზე
არც თავის გადარჩენის
მქონია საქმე...
ეხლა თვითონაც
მგონია ასე,
მხოლოდ წვიმების
ვითავსებ ამბებს.

****

2010
რაღაც სევდიანი
არის ზაფხული.
თავზე ამხია წვიმის
ჩაფხუტი;
მდინარეებმა მოზილეს ტალახი
და ტრაგიკულად მწვანეა
ბალახი.

****

ღამე შეირყა - ინათებს ალბათ!
მზე ამოაბელტებს
მიწის საფარს.
ლოცვის სიტყვებით
სინანულს გპირდები,
მაგრამ ვაგრძელებ
იგივე ამბავს.
ცრემლით დანასველებ
ფეხებს გიკოცნი,
თმებით წარვხოცავ,
ნუ ეჭვობ
მაგრამ:
საუკუნეა ოცი გასული
ოცდამეერთე ეწევა ჭაპანს!

****

მთვლემარე დღეების
დაიწყო რიგი
მზის გულისცემა
სულ აღარ ისმის.
ალბათ სიმარტოვის
გავყვები ბილიკს.
ამაში შემოდგომას
მიუძღვის წვლილი.
მიშარიშურობს
მაშურებს შური -
გაუფასურებული
ოქრო - ფული

****

28.10.09
ნისლმა შეჭამა
გაღმა ნაპირი;
მალე მოგვიწევს
აქეთაც ალბათ
არ მინდა
ნისლის ვიყვე
ნაწილი!
მერე წვიმებად
მიშვებდეს სადღაც.

****

20.10.09
ალვებს, როგორც
ყელზე ძარღვებს,
ძაან დაძაბულად
ქარი ათამაშებს,
ალბათ გადაარჩენს
მაგათ ისევ ფესვი.
თორემ გულის ნაცვლად
ქარი შენამწყვდევი
ფოთლებს ემწყემსება
ღრუბელს ვერ ჯერდება
რავი მე ამ ქართან
რა მაქვს გასაყოფი,
მაგრამ იმ ფესვივით
დავრჩე თავისთავად,
არის ჩემი ნატვრა
ჩემი ამოცანა.

****

27.08.09
როგორ არ მიყვარს
აგვისტოში შემოღამება!
თითქოს სანთელი
დნება ქარვდება,
როგორ არ მინდა
ამ ზაფხულის გადაგვარება,
მზის ნავალზე ღამის
გადახავსება.

****

20.11.09
წვიმის ძუაზე
ეკიდა ღამე
გუშინ
ადგენ და გასართობად,
ჩამაფურთხეს სულში!
თუ არ იყეფე
გონიათ არ გაქვს ძალა
 თუ კი ...
იქნები ძაღლად
მარად...
ეხლა იფიქრე -
რა გინდა რა ქნა?!

****

09.09.09.
ღამეა! ფეხაკრეფით
შემოდის დილა
ო, გამარჯობა წმინდათა წმინდავ!
ვიდრე იხმაურებ
მინდა, რომ გითხრა
უპირველესო
პირველთა წინა,
უნდა მიყვარდე
და ვიცი გინდა,
მაგრამ სიყვარული
ამდენი
ვის აქვს!

****

04.01.10
ეხლა სიჩუმის
კაბის ნაოჭებს
მიყვება ფიქრი და
კვლავ მაოცებს...
ისევ ვნება მაქვს,
ისევ ლტოლვები...
და მშვენიერი მისი სხეული,
კაბის ნაოჭში
გამომწყვდეული,
მე მხვდება როგორც
ცივი ლოდები
- საფლავის
ქვასთან დაგელოდები.

****

12.11.09
ქარი ხეებზე
იმტვრევდა კოჭებს!
გთხოვ, ნუ გამწირავ.
გთხოვ შემიცოდე.
- მე რომ ვიცოდე
ზომა და წონა,
ქარის ტკივილზე
მექნება გლოვა.

****

14.02.09
წვიმები ჟღურტულებენ -
იქნება გაზაფხული.
მთვრალი ვარ მიწის სუნით.
და როგორც საფლავზე
მოზარდი ზამბახები
დაყოვნდა ჩემი სული.
ბასრია ყველას ფერი -
მოსულა გაზაფხული
წვიმები ჟღურტულობენ.
კაბის ფოჩს
ზამბახებს უწუნებენ.
ეხლა ყველაფერი
იმდენად არის ბასრი,
ალბათ სისხლის დენა
მომკლავს შინაგანი.

****

24.12.04
მე აღარ მიკვირს,
რომ სვამს ლოთი.
რომ ცხოვრებას
აქვს კალაპოტი.
უბრალოდ ცდომილებებს,
რომ ქონდეს აზრი
და რომ ეს ჯაჭვი
იყოს მყარი:
ლოთების სუფრაზე
ვიჯდები თავში
და თავი მეგონება
ალბათ სახლში.

****

გითხრა ახალი?
გული დავკარგე
და არ მაქვს ახალი
მიდიან წლები გადავლით
და გული არ არის.
ცაზე-რძისფერ გზაზე
უვლია მრავალი.
ანდა მზესავით
იძირება ზღვაში
და არც კი ვიცი
მჭირდება რაში?

****

იცი რა არის ყველაზე ცუდი?
როცა გირტყამენ
შუბისტარს გულში.
სულში გაფურთხებენ
და ბოდიში უჭირთ.
გონიათ არა გაქვს
უფლება სუნთქვის
და უნდა იყვე
ტკივილში ჩუმი
- სიჩუმე,სიჩუმე,
სიჩუმე ცუდი.

****

13.11.09
ეხლა ვიძინებ,
ძილში არ ვიყვირებ,
მინდა წამლების
დავლიო კარადა
წვიმა წყვეტილი;
ფიქრები-წერტილი
მეგონა მიყვარდი
მიყვარხარ,
მაგრამ
გამომრჩა რაღაც....
სიცოცხლე ქრთამად-
წვიმები - წყვეტილი,
ფიქრები.... წერტილი.

****

23.11.09
ვზივარ, ვუყურებ,
ქარის ბოდიალს -
ღრუბლები მიდიან
და კვლავ მოდიან
იყავი წყნარად,
იყავი მორჩილად,
ვიცი, მისაფუძვლამდე
ამრევი ქარები მოდიან.

****

03.03.10
თოვლი მენატრება,
ზამთარმა მინდა
დაუშვას ფარდა,
ხეების სიმარტოვეს
ჩაცვას კაბა!
გუშინ მათი ტკივილით
ქარმა
კივილ-კივილით
იბარტყა გაღმა.

****

დუმილმა მომიცვა,
როგორც მუმია
მივეხალისე სულს
და მწყურია;
ეხლა უტყვი ვარ -
დამღალა ტყუილმა.
სულებს ხარჯავენ
თითქოს ფულია.

****

21.03.2010
ჯერ თოვლს ვნატრობდი
და -------
თოვლი მოვიდა!
ეხლა ვერ ვკითხულობ
მის თეთრ ფოლიანტს
დუმილმა რაღაცა დაწერა
შორიდან
და გადმოქექვა
სულის მომიხდა.
ვგრძნობ, რომ სისავსე
მთვარიდან მოდინდა.

****

უკვე არაფერი
არ არის გასაგები.
მგონი ბილიკი გვაქვს
ცხოვრების გასარბენი.
ნეტა ამ სიჩქარეს
ქონდეს მისამართი
ანდა შიგადაშიგ
ოდნავ შეღავათი.

****

ისეთი მოწყენილი
არის ამინდი,
თითქოს ქვეყანა
არ იყოს ნამდვილი.
ყველა ბილიკი უკვე გავლილი
მოსული წვიმით
იქნება წაშლილი
აქ დავიწყების
დადის აჩრდილი
და მოლოდინით
არის დაღლილი.

****

04.2010
მინდა გავიქცე სადღაც
ქალაქიდან
კორსეტით შეკრული
ალაგიდან,
სადაც ყულფებზე კიდია
სულები -
ყველა ზღვარზე გარდასულები.
სადაც საათი კი არ
წიკ-წიკებს,
არამედ წუთებს
შუბლში გიმიზნებს.
ეხლა მომინდა
გაქცევა სადმე.
მაგრამ ქალაქმა
დამიგო მახე.

****

05.2010
ვარსკვლავთშორისი
სიჩუმით ვსუნთქავდი,
მერე განვედი-თქო
ჩუმად ვუთხარი
და ესე დამრჩა მკვდარი
სურათი-
დაღალულ მიწაზე
გუბე წვიმაში!
გასაოცარი მქონია უნარი
ვყოფილიყავი ასე გულადი.

****

21.12.14
მიყვარს -
ყინვების ხელმოწერილ
ფანჯრებთან დგომა.
ფიქრი არგადადგმულ
ნაბიჯებს ზომავს.
....
ისე ჩახვეული
ისე ჩახლართული
როგორც ყინვის სული
ფანჯრებს მილურსმული.

****

03.2015
წყნეთშია თოვლი
სადღაა ყვავილები
თეთრი გაკვირვებით?
ზამთრის გალოკილზე
თეთრო ფანტელებო,
მე მეთაკილებით.

****

2015.05
მთვარე აღუვსები
მუდმივი მიმოქცევით
სწრაფად მიყოლიებს.
ახლოს მიყოლიე
თორემ ვიკარგები
ერთი მიზეზიც კი
აღარა მაქვს
ისევ დარჩენის
სადღაც თავისთვის
მბჟუტავ ვარსკვლავებს
მივემსგავსები.

05.2015
ყველაზე მეტად
ვერ ვიტან ტყუილს
მე ვიწყებ, ყმუილს!!!!
ხაროში ჩაგდებული მგელი
გაცოცხლდა ჩემში...:)))

მთვარის ტაფაზე
შემწვარი კვერცხი
შენი იქნება თუ ჩემი
აზრი არა მაქვს ამის!..
შიში-
ყველაზე დიდი,
საკუთარი თავის,
სისხლის სუნზე
აკეთებს თავისს.

****

05.2015
წერტილს წავებლანდე.
ეს წერტილი მძიმეა,
თუ მხოლოდ ტირე,
მარტო მაშინ გავიგებ
როცა დამიტირებ.

მისიკვდილისას გარბენილ კადრებში
ნუ მებლანდები!
ნუ მეკარები!
იმედია იქ მაინც
აღარ მომენატრები.:)))

****

შემოდგომის ქარცრაა,
ქარცრაა
სიმარტოვის სევდაში
გავლებული ღამე,
თეთრად დავაღამე
და თაგვისფერ შიშში
გახვეული ზეცა
გაფართოებული თვალებივით
გაათკეცდა გზა აღარ არის
არარამ ზეცა
ფრთებად შეიკეცა.

****

სიყვარულად დასესხებულა სული
რომ მკვდარი შვილივით
ცრემლების ეკლებით შეძეძვოს
ზმანება სამყაროული.
დასესხებული სულის ტკივილით
ჩამომგავს ღამე
და თვალებამომშრალებულ
სანთელს
მიაგავს მთვარე.

****

2015.05
მეიმედებოდი და უკვე აღარ:)))
გაქრა სიყვარული სადღაც
წასვლა ჯობია ალბათ
მაგრამ?...
ბრმა კნუტებივით
ვაწყდებით სამანს.
დაეშვა ფარდა რახან
გინდა დაუკრან ტაში,
გინდა აღარ.

****

რჟოლა სასიკვდინე
დაგივლის ტანში.
გადახდილი გვაქვს
სიმარტოვიდან
გაქცევის ფასი.
ვბრუნდებით, ვბრუნდებით
ცარიელ სახლში
და განმარტოებულ
ხალხში!
მეიმედებოდი და აღარ!
სიყვარულის მიღმა
თუ არის რაღაც,
ისიც ვგრძნობ რომ
თოვლივით გაქრა.

****

2015.05
ამ თითქოს ყოფნას
მიაგავს თოვაც
ისე ლამაზია
და მოდის სოვლად;
როცა თოვლი მოვა,
ვერ ჩამომავალი
მიწამდე ყოვლად,
ვიტყვი, რომ ჩემი მოსვლაც
ამ სიმატოვის მიტოვების ნაცვლად
გაცვდა! გაცვდა!
და მიზანს აცდა.

****

2015.06
ომი მაქვს და ომში
ვამყარებ ღმერთთან
კავშირს!
აქ ცხენი არ ცნობს
სარგოს თავისს!!!
აქ მზე ბნელია
და არის ბორბლის თვალი.
რომ ურემი ჟამის
არ ჭრიალებდეს.
და დანა მთვარის
არის ბასრი!
მე ვუსმენ საყვირს
შემოიყვირებს ხოლმე
ხმლის აღმართვა ჯობია
ან თუ არ ღირს!

და არაფერი არ მგვრის
წადილს
გადაგარჩენდი....
მაგრამ მჭირდება რაში?
არადა ისე ომიც
ვინძლო დამღლის
და მერე ყვავყორნებს
რომ ეყოფა იმდენს
მიუტან სადილს.
რას იზავ ცხოვრება
უაზროდ გადის!

****

06.15
როცა დიოგენე -
კასრში ჩამწყვდეული
ფიქრს ეტრფოდა
მზეს ელტვოდა -
არისტოტელეს გამოზრდილი
ქვეყანას ფლობდა.
თუმცა ზუსტად საფლავის ზომა
ჩრდილი ქონდა
და დიოგენემ ამ ჩრდილის
მონაცვლება ოდეს,
ქვეყნის მფლობელს,
თხოვა,
მას მაინც საკუთარი
თავის შერჩა ტრფობა...
ამ ქვეყნად თუ
კასრში მირჩევნია წოლა-
შენი მოსვლაც არის
საფლავის ზომა
ჩრდილის ქონა.

****

06.15
მინდოდა სლუკუნისთვის
მიმეძღვნა თავი -
პლედი მომეხურა,
მხრებზე ვინმესთვის
მიმეყრდნო თავი,
დამესხა ცხელი- ცხელი ჩაი,
ორთქლს მოეტანა
ნაზი ყვავილების სუნთქვა.
ნესტოზე შერჩენილი
ცრემლი შემესუნთქა
დანაყვინთი ზღვის
მარილივით მყრალი....
.....
და უცებ მუხლზე მოქლესილი,
შავი კნუტივით,
ამ ფიქრს, ვუთხარი
წადი! წადი!
იპოვე შენი დარი
და აი დარდი
თუ არ ვიქნები;
არასოდეს ვიქნები
ასეთი კარგი.

****

06.15
არ შემიძლია არ ვიყო
მარტო,
არ შემიძლია ვიყო
წარსული,
და სიყვარულის მე
არ მაქვს სუნი.
ვარდი ყოილი სარზე ასული.
როცა დაპირებებზე შენ
დამიპირებ
აპირთავებული წყალივით
ვერ დამიჭერ
გავიპარები.
ჩემი დაჭერის მავნე
სურვილი,
ბოლოს მოუღებს
ყველაფერს ვიცი;
გასაკვირველი შეიქმნა
კავშირი,
თან განწირული
თან არ წასული.
მხოლოდ გაქცევის
მე მაქვს სურვილი
დროზე უმეტეს
დროზე უძლური.

დაიბეჭდა შპს “ფრანში”

ISBN 978-9941-0-7909-2